სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

Bachelor's Educational program

საჯარო მმართველობა

Public Administration

თბილისი

2026

პროგრამის აღწერილობა

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**საჯარო მმართველობა** **Public Administration**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**საჯარო მმართველობის ბაკალავრი** **Bachelor of Public Administration**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული მოცულობაა **180 ECTS კრედიტი.** მათ შორის: • **თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები: სულ 50 კრედიტი. (მათ შორის, სავალდებულო - 45 კრედიტი, არჩევითი - 5 კრედიტი)** • **ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები - 130 კრედიტი**
სწავლების ენა	ქართული ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**პროფესორი გიორგი ღაღანიძე** **ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი**
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	• სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები; • ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია: ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ✓ საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; ✓ პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ✓ ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის სტუდენტი გარე ან შიდა მობილობის გზით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა, მათ შორის უცხო ქვეყნის

	აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია: 1. უზრუნველყოს საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული საჭირო ფუნდამენტური ცოდნით, კომპეტენციებითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით; 2. უზრუნველყოს საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულმა საჯარო სექტორში არსებულ გამოწვევებზე სწრაფი რეაგირება და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება მართვის თანამედროვე მიდგომებისა და ტექნოლოგიების დანერგვის გზით; 3. მოამზადოს კონკურენტუნარიანი, სახელმწიფო მართვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ საჯარო ორგანიზაციების ეფექტიან მართვას.
სწავლის შედეგები	**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:** ***ცოდნა და გაცნობიერება*** • განმარტავს საჯარო მმართველობის ფუნდამენტურ მიმართულებებს, ძირითად პრინციპებს, მეთოდებს, მოდელებს, მმართველობითი პროცესის ინოვაციურ და ეფექტიან ინსტრუმენტებს; • განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში საჯარო სექტორის ადგილს და როლს ადგილობრივ და საერთაშორისო კონტექსტში, ასევე განიხილავს სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში საჯარო ინსტიტუციების ანგარიშვალდებულების, სტრატეგიული დაგეგმვისა და ეფექტიანი მართვის სისტემის დანერგვის საფუძვლებს; • განიხილავს საჯარო სექტორში მმართველობით პრინციპებს, განსაზღვრავს შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილების განხორციელებისათვის აუცილებელ მექანიზმებს. ***უნარები*** • ახდენს საჯარო სექტორში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას და მიღებული ეფექტიანი გადაწყვეტილების მიწოდებას ეფექტური წერითი და ზეპირი კომუნიკაციის საფუძველზე; • ახდენს საჯარო მმართველობის პოლიტიკასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებას, გაანალიზებას, არგუმენტირებული

	დასკვნის გამოტანას და დაინტერესებულ მხარეებთან შესაბამისი ფორმებითა და ტექნოლოგიებით მათ წარდგენას; • საჯარო ორგანიზაციის სტრატეგიის მომზადების, დანერგვის პროცესში ამოცანების გადასაწყვეტად იყენებს ტექნოლოგიურ და პროგრამულ სიახლეებს; შეიმუშავებს შესაბამის სამსახურებრივ ანგარიშებსა და დოკუმენტებს; • არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კომპეტენციის შესაბამისად, აანალიზებს და გეგმავს შედეგზე ორიენტირებულ პროცესებს. *პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა* • განსაზღვრავს პროფესიული გადაწყვეტილების მიღებას და მასზე პასუხისმგებლობის აღებას; • საჯარო მმართველობის სფეროში არსებული გამოწვევებისა და კომპლექსური პრობლემების გადაჭრის მიზნით განიხილავს საკუთარ და სხვების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას; • იცავს ეთიკურ, სოციალურ და სამოქალაქო პასუხისმგებლობას; • პროფესიულ საქმიანობას განიხილავს კანონიერების, პოლიტიკური ნეიტრალიტეტის, მიუკერძოებლობისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვით.
სწავლება-სწავლის მეთოდები	საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სწავლებისას ტრადიციულ ლექციებთან ერთად, გამოიყენება პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობები, პრეზენტაციები, სხვა თანამედროვე მიდგომები და მეთოდები. სწავლება წარიმართება ჯგუფურ ფორმატში. სწავლების მეთოდები - მეცადინეობები ჩატარდება სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით, როგორიცაა პრაქტიკული სავარჯიშოები და სიტუაციური ამოცანები (ქეისები), დისკუსია–სემინარები, საპრეზენტაციო პროექტი. პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევისათვის გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დისკუსიის, დებატების, დემონსტრირების, ინდუქციის, დედუქციის და სხვ. აღნიშნული მეთოდების გამოყენება მოხდება სააუდიტორიო ფორმატში. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია განხორციელდება შესაბამის საჯარო სექტორის ორგანიზაციებში პრაქტიკის გავლით.
შეფასების სისტემა	სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით. 100 ქულა არის მაქსიმალური შეფასება. კრედიტის

	მინიჭების წინაპირობაა 100–დან 51 ქულის დაგროვება. შეფასების ამ სისტემაში ქულების განაწილების სქემა ასეთია: დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობაა შუალედურ შეფასებებში მინიმუმ 11–21 ქულის მიღება სასწავლო კურსის შესაბამისად, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). *შეფასების სისტემა უშვებს:* ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური 100 ქულიდან მიიღებს შეფასებას 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე, რომელიც ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. შეფასების ფორმები შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასებებისაგან. შეფასებებში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და იგი ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები განსაზღვრულია თითოეული კურსის სილაბუსში.
დასაქმების სფეროები	საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია ჩაერთოს საჯარო საქმიანობის პროცესში და დაიკავოს სამთავრობო და არასამთავრობო

	სექტორის დაბალი და საშუალო რგოლის მენეჯერის, სპეციალისტის თანამდებობა სხვადასხვა მიმართულებით. საჯარო მმართველობის ბაკალავრის პროფესიული საქმიანობის ობიექტებია: სხვადასხვა დარგის საჯარო დაწესებულებების (მათ შორის სამინისტროები, სიპები და მათ შემადგენლობაში შემავალი სხვა ინსტიტუტები) სტრუქტურული ერთეულები, რომლებსაც სჭირდებათ პროფესიული ცოდნა საჯარო მმართველობის სფეროში. საგანმანათლებლო პროგრამა იძლევა მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ და შეადგენს საქართველოს მოქალაქეებისათვის 2250 ლარს წელიწადში. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სწავლების საფასური შეადგენს 2250 ლარს წელიწადში.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესაბამისად უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. სტუდენტებს უფლება აქვთ ისარგებლონ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (თსუ, X - მაღლივი კორპუსი) მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და არსებული რესურსებით, მათ შორის: ბიბლიოთეკით, საპრეზენტაციო პროექტორით აღჭურვილი აუდიტორიებით, კომპიუტერული ლაბორატორიებით, რესურს-ცენტრებით, სტუდენტთა მომსახურების ცენტრით და სხვ. სტუდენტთათვის გათვალისწინებულია შესაბამისი რაოდენობით კომპიუტერული ტექნიკა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამის ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია ფაკულტეტისა და პროგრამის ბიუჯეტით
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	

პროგრამის სტრუქტურა

ფაკულტეტი: **ეკონომიკა და ბიზნესი**

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: **საჯარო მმართველობა**

სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი**

კრედიტების რაოდენობა: **180 ECTS**

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი: **პროფესორი გიორგი ღაღანიძე, ასოცირებული პროფესორი ნინო ფარესაშვილი**

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№ 55/2024; 15.04.2024 სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამწლიანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ (დანართი 320)** https://tsu.ge/ka/legalakad/49429

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2025**

აკრედიტაციის მინიჭების თარიღი: **საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 1 ივლისის № 863518 გადაწყვეტილება** https://eqe.ge/ka/decisions/14181/show

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი																
№	სასწავლო კურსის სახელწოდება	სტატუსი	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა				სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი						ლექტორი /ლექტორები
				საკონტაქტო		დამოუკიდებელი	სულ		1	2	3	4	5	6	
				ლექცია	სემინარი/ პრაქტიკული										
	თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები: სულ 50 კრედიტი. მათ შორის, სავალდებულო - 45 კრედიტი, არჩევითი - 5 კრედიტი														
	თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები: სულ 45 კრედიტი								30	15					
1	უცხო ენა 1[1]	სავალდებულო	5	0	45	80	125	წინაპირობის გარეშე	5						თსუ ენების ცენტრის ლექტორები
2	უცხო ენა 2[2]	სავალდებულო	5	0	45	80	125	უცხო ენა 1		5					თსუ ენების ცენტრის ლექტორები
3	მიკროეკონომიკის პრინციპები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5						ე. მექვაბიშვილი; მ. ნაცვალაძე
4	მაკროეკონომიკის პრინციპები	სავალდებულო	5	15	30	80	125	მიკროეკონომიკის პრინციპები		5					ე. მექვაბიშვილი; მ. ნაცვალაძე
5	მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5						უ. გოგინავა; ო. ფურთუხია; ა. აპლაკოვი
6	ინფორმაციული ტექნოლოგიები საჯარო მმართველობაში	სავალდებულო	5	0	45	80	125	წინაპირობის გარეშე	5						დ. სიჭინავა; თ. მუნჯიშვილი; რ. სეთურიძე; თ. მელქოშვილი; მ. ტიკიშვილი

[1] იგულისხმება უცხო ენის B2.1 დონე
[2] იგულისხმება უცხო ენის B2.2 დონე

7	სტატისტიკა ეკონომიკასა და მენეჯმენტში	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5						ს.გელაშვილი; ნ. აბესაძე
8	საჯარო პოლიტიკის საფუძვლები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე	5						ს. ტაბატაძე
9	ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის	სავალდებულო	5	30	15	80	125	წინაპირობის გარეშე		5					დ. თვალთვაძე ქ. გოჩიტაშვილი გ. შაბაშვილი ნ. შარაშენიძე
	თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები: სულ 5 კრედიტი სტუდენტს შეუძლია აირჩიოს სხვადასხვა ფაკულტეტიდან ნებისმიერი სასწავლო კურსი, მათ შორის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის შემდეგი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი არჩევითი კურსები									**5**					
1	შესავალი ფინანსურ აღრიცხვაში	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5					ლ. საბაური
2	ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე							თ. შენგელია; ხ. ბერიშვილი
3	ლიდერობა - მართვის ხელოვნება	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე							ნ. ხარაძე; ე. გულუა
4	დარგობრივი ბაზრების ეკონომიკა	არჩევითი	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე							ე. ხარაიშვილი; ნ. დამენია
	ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები: სულ 130 კრედიტი									**10**	**30**	**30**	**30**	**30**	
1	კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5					ვ. გონაშვილი
2	მენეჯმენტის საფუძვლები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე		5					დ. ნარმანია; ე. ჩოხელი
3	მარკეტინგის საფუძვლები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5				ნ. თოდუა
4	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5				ა. ჩუთლაშვილი; ხ. ბარბაქაძე
5	ადამიანური რესურსების მართვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5				ნ. პაიჭაძე; ნ. ხარაძე
6	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი	სავალდებულო	5	30	15	80	125	კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი			5				ხ. ლორია

7	საჯარო პოლიტიკის წარმოება და ევროინტეგრაცია	სავალდებულო	5	15	30	80	125	საჯარო პოლიტიკის საფუძვლები			5				ს. ტაბატაძე
8	დასაქმება და შრომის ბაზრის რეგულირება	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე			5				მ. ცარციძე
9	მარკეტინგი საჯარო სექტორში	სავალდებულო	5	15	30	80	125	მარკეტინგის საფუძვლები				5			ნ. ოქრუაშვილი
10	საჯარო ფინანსები	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები				5			მ. ჩიკვილაძე; ი. არჩვაძე
11	სამოხელეო სამართალი	სავალდებულო	5	30	15	80	125	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი				5			ხ. ლორია
12	კროს-კულტურული მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე				5			ნ. ფარესაშვილი
13	კარიერის მართვა	სავალდებულო	5	15	30	80	125	ადამიანური რესურსების მართვა				5			ნ. ხარაძე დ. ფირცხალაიშვილი
14	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები				5			გ. ღაღანიძე ბ. რამიშვილი
15	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	სავალდებულო	5	15	30	80	125	კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი					5		ვ. გონაშვილი
16	საჯარო მმართველობაში ინფორმაციის ელექტრონული დამუშავება	სავალდებულო	5	0	30	80	125	ინფორმაციული ტექნოლოგიები საჯარო მმართველობაში					5		მ. ტიკიშვილი
17	ორგანიზაციული ქცევა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					5		ნ. ფარესაშვილი
18	ეკონომიკური პოლიტიკა	სავალდებულო	5	15	30	80	125	მიკროეკონომიკის პრინციპები					5		რ. გველესიანი; გ. ერქომაიშვილი
19	საქმისწარმოება და ოფისის მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები					5		ნ. ფარესაშვილი; ნ. ხარაძე; თ. ღამბაშიძე
20	სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე					5		გ. გაფრინდაშვილი
21	გადასახადები და დაბეგვრა	სავალდებულო	5	15	30	80	125	ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები						5	მ. ჩიკვილაძე; ნ. კაკაშვილი

22	მომსახურების მენეჯმენტი	სავალდებულო	5	15	30	80	125	მენეჯმენტის საფუძვლები						5	ბ. რამიშვილი
23	რეგულირების გავლენის შეფასება	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე						5	გ. გაფრინდაშვილი
24	მოლაპარაკებების მართვის ხელოვნება და ეთიკა	სავალდებულო	5	15	30	80	125	წინაპირობის გარეშე						5	ნ. ფარესაშვილი
25	ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი	სავალდებულო	5	15	30	80	125	კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი						5	ვ. გონაშვილი
26	პროფესიული პრაქტიკა	სავალდებულო	5	75		50	125	პროგრამის სასწავლო კურსებიდან 140 კრედიტის დაგროვება; ამასთან, სტუდენტი უნდა იყოს დამამთავრებელ სემესტრში						5	ნ. თოდუა; ლ. ქადაგიშვილი
								სულ: 180 კრედიტი	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები: სულ 130 კრედიტი **თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსები: სულ 50 კრედიტი (მათ შორის, სავალდებულო - 40 კრედიტი, არჩევითი - 10 კრედიტი)**															

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი